სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/86

ქ. თბილისი 15 მაისი 2025 წ.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაფუძნებული სამეცნიერო პერიოდული გამოცემების დამტკიცებისა და სამეცნიერო პერიოდული გამოცემების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლი 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2024 წლის 24 დეკემბრის №01-05-04/200 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკური უწივერსიტეტის სამეცნიერო პერიოდული გამოცემის დაფუძნების და რეგისტრაციის წესი“ მე-13 პუნქტის შესაბამისად, სტუ-ის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს ოქმის №1 (27.03.2025 წ.), უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის, პროფესორ თამარ ლომინაძის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 15 მაისის №01-05-02/13 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს ამ დადგენილების დანართით განსაზღვრული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაფუძნებული სამეცნიერო პერიოდული გამოცემები და უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტის მიერ განხორციელდეს მათი რეგისტრაცია სამეცნიერო პერიოდული გამოცემების რეესტრში (დანართი).
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

აკადერმიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

დანართი

სტუ-ის სამეცნიერო პერიოდული გამოცემები

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები;
2. „მეცნიერება და ტექნოლოგიები“;
3. „არჩ.ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული“;
4. „ჰიდრომეტროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული;
5. „ცოტნე მირცხულავას წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული“;
6. ,,მშენებლობა“;
7. ,,ჰიდროინჟინერია“;
8. ,,ენერგია“;
9. ,,სამთო ჟურნალი”;
10. ,,ნავთობი და გაზი“;
11. Ceramics and Advanced Technologies;
12. ,,ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“;
13. ,,არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის თანამედროვე პრობლემები”;
14. ,,თემიდა“;
15. ,,საისტორიო ვერტიკალი“;
16. მართვის ავტომატიზირებული სისტემები“;
17. ,,ბიზნეს ინჟინერინგი“;
18. ,,განათლება“;
19. სვეტიცხოველი;
20. ,,ქართული ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი”;
21. ქართული რეფერატული ჟურნალი (ქრჟ);
22. Caucasus Abstracts Journal of Nanoscience and Nanotechnology – CAJNN – (კავკასიის რეფერატული ჟურნალი ნანომეცნიერებასა და ნანოტექნოლოგიებში);
23. ქართული რეფერატული ჟურნალი ჰუმანიტარული მეცნიერებები.